ჩვენი დიდება და სიამაყე

შოთა რუსთაველი. მხატვარი ირ. თოიძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР.

გამოცემის 45-ე წელი. № 13 (13134) | კვირა, 17 იანვარი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

გუშინ გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. მოსმენილ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1966 წლის სექტემბერში გაიმართოს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა მთავრობის საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. გ. დ. ჯავახიშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (თავმჯდომარე).
2. ი. ბ. აბაშიძე — პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე).
3. დ. ბ. სტურუა — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე).
4. შ. ი. ამირანაშვილი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.
5. ი. ლ. ანდრონიკაშვილი — მწერალი.
6. ვ. ი. ანჯაფარიძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.
7. მ. პ. ბაშანი — მწერალი-აკადემიკოსი.
8. ა. ბ. ბარამიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
9. ი. ს. ბერიტაშვილი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
10. თ. პ. გუაჩიძე — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.
11. კ. ხ. გამსახურდია — მწერალი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
12. კ. ა. გარდაფხაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
13. ა. ა. გიგოშვილი — საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.
14. ვ. ა. დავიდოვა — რუსული სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.
15. ლ. მ. დავითაძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.
16. შ. ა. დოლიძე — საქართველოს სსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარე.
17. ბ. ე. ინგოროყვა — მწერალი.
18. თ. ვ. ლაშქარაშვილი — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.
19. გ. ნ. ლეონიძე — პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
20. ა. დ. მაჩაბარიანი — საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.
21. მ. ა. მეგრელიშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
22. გ. ა. მელიქიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
23. ნ. ი. მუსხელიშვილი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.
24. დ. ვ. მჟედლიშვილი — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი.
25. შ. ი. ნუცუბიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
26. მ. ფ. ორაგველიძე — მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
27. ბ. დ. ფლენტი — მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი.
28. ნ. ს. ტიხონოვი — მწერალი, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი.
29. კ. ა. ფედინი — მწერალი, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი.
30. რ. ი. ფრუშიძე — საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი.
31. ო. დ. ქინჭარაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
32. ა. ბ. შანიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
33. ბ. ვ. შინკუბა — პოეტი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.
34. მ. ა. შოლოხოვი — მწერალი-აკადემიკოსი.
35. ო. ე. ჩერქეზია — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.
36. ს. ი. ჩიქოვანი — მწერალი.
37. ბ. ნ. ჩუბინიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.
38. ვ. მ. ჩხეიძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.
39. შ. ვ. ცვიტინინიძე — ჭუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
40. ა. ვ. ძამაშვილი — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძოლო საამქროს უფროსი ოსტატი.
41. გ. ს. ძოწენიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.
42. ბ. ვ. წერეთელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი.
43. ს. ე. ჟილაია — მწერალი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი (საიუბილეო კომიტეტის მდივანი).
44. ე. კ. ხარაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.
45. ი. ს. ხარისჩარიშვილი — საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი.
46. ი. ი. ხომერიკი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი.
47. ი. (ეჩა) მ. ჯაფარიძე — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი.
48. ბ. ნ. ჯიბლაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
49. გ. ნ. ჯუსოევი — სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომიტეტს შეიმუშაოს და წარმოადგინოს საიუბილეო ზეიმის მოწყობის ღონისძიებათა გეგმა.

გენიალური პოეტი, მოაზროვნე, ჰუმანისტი

ომავალ 1966 წელს სრულდება 800 წელი იმ დღიდან, რაც დაიბადა დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი — ავტორი გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც მსოფლიო პოეტური ეპოსის ერთ-ერთი უდიდესი შედევრია.

შუასაუკუნეობრივი მონობისა და ბნელეთისმოციქულობის ეპოქაში რუსთაველმა მაღლა აღმართა ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის დროშა და თავის უკვდავ ქმნილებაში შთაგონებულად შეასხა ხოტბა პატრიოტიზმისა და ხალხთა ძმობის წმიდა იდეებს, სიყვარულისა და მეგობრობის, მამაცობისა და ვაჟკაცობის ამაღლებულ გრძნობებს. რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო, წარუვალი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იყო ერთ-ერთი პირველი მქადაგებელი ადამიანის გონებისა და გრძნობების განთავისუფლებისა, დამცველი ბოროტზე კეთილის, ბნელზე ნათელის, მონობასა და ძალადობაზე თავისუფლების გამარჯვებისა.

რუსთაველი ცხოვრობდა და შემოქმედებას ეწეოდა XII და XIII საუკუნეთა მიჯნაზე, როცა საქართველომ, იმ ეპოქაში თავისი სამეურნეო და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველაზე დიდ აყვავებას რომ მიაღწია, შექმნა მაღალგანვითარებული, უაღრესად თვითმყოფი ეროვნული საერო კულტურა, რომელიც ბრწყინვალედ გამოვლინდა სულიერი შემოქმედების ყველა დარგში — ფილოსოფიასა და მეცნიერებაში, არქიტექტურასა და ფერწერაში, მუსიკაში, პოეზიასა და პროზაში. ამ ეპოქის გვირგვინი იყო პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დღემდე რჩება იდეური სიღრმის, შინაარსის სიმდიდრის, მხატვრული ფორმის სრულყოფის უბადლო ნიმუშად.

წარსული საუკუნეების ეროვნული კულტურის საუკეთესო ტრადიციებსა და მსოფლიო ფილოსოფიისა და პოეტური აზრის მიღწევებზე დაყრდნობით რუსთაველმა შექმნა უჭკნობი ნაწარმოები, რომელმაც კეთილშობილური გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის მთელ შემდგომ განვითარებაზე.

რუსთაველმა, სიტყვის გენიალურმა ხელოვანმა, გასაოცარმა ოსტატმა პოეტური მეტყველებისა, რომელიც მკითხველს ხიბლავს მეტაფორათა სიმდიდრით, აფორისტულობითა და ვირტუოზული მუსიკალობით, შექმნა ადამიანთა ტიტანური სახეები, დევგმირული სულიერი და ფიზიკური ძალებით აღჭურვილნი, ცოცხალი განსახიერება გმირობისა — რაინდობისა, კეთილშობილებისა და მაღალი ზნეობისა. ამ სახეებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათის საუკეთესო ნიშნების — შეუდრეკელი თავისუფლებისმოყვარეობის, სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის, მეგობრობასა და სიყვარულში ერთგულების ჩამოყალიბებაში. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანები არიან, მაგრამ ეს ვერ უშლის მათ იყონ ერთგული მეგობრები და თანამებრძოლები, რომლებიც მზად არიან სიცოცხლე გასწირონ ერთმანეთისათვის.

უცხოელი დამპყრობლებისა და შინაგანი რეაქციის მიერ სასტიკად დევნილი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა ქართველი ხალხის უსაყვარლეს წიგნს. ხალხი ზეპირად სწავლობდა, სიყვარულით იმეორებდა და მღეროდა პოემის გენიალურ სტრიქონებს, მასში უხვად გაბნეულ ბრძნულ აფორიზმებს. თავის მრავალსაუკუნოვან თავდადებულ ბრძოლაში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველ ხალხს მუდამ შთააგონებდა გენიალური პოეტის მოწოდება: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

დროთა მსვლელობაში პოემის ასეთი პოპულარობა, მისი მაღალი ხალხურობა, მისი ცოცხალი ქმედითი ძალა არათუ არ სუსტდება, არამედ, პირიქით, სულ უფრო იზრდება და ღრმავდება. ამ აზრით რუსთაველის პოემას ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიო კლასიკური პოეზიის უდიდეს ქმნილებათა შორის.

სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსი „ვეფხისტყაოსნისა“, მისი ნათელი ჰუმანიზმი და გმირული სული, მასში ხორცშესხმული იდეები პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმისა, მაღალი ადამიანური გრძნობები და კეთილშობილური მორალური იდეალები შორეული წარსულის ამ დიდებულ ლიტერატურულ ძეგლს საბჭოთა ხალხის, თანამედროვე მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სულიერ სამყაროსთან ანათესავებენ.

ქართველი ხალხის ისტორიული ბედიღბლის გამო პოემა „ვეფხისტყაოსანმა“ საუკუნეთა განმავლობაში ვერ დიკავა ღირსეული ადგილი ცივილიზებული კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში. მხოლოდ ჩვენს საბჭოთა ეპოქაში, კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით, ეს პოემა, ისევე როგორც საბჭოთა ეროვნული კულტურების ყველა სხვა უძვირფასესი მიღწევა, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის საყვარელი კუთვნილება გახდა და ფართო სრულიად საკავშირო და მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა.

რუსთაველის პოემა რუსულ ენაზე თარგმნა ბევრმა გამოჩენილმა რუსმა პოეტმა. „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის მომავალი იუბილეე, უეჭველია, გადაიქცევა საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობის ახალ მკაფიო დემონსტრაციად, ხალხებისა, რომლებიც დიდი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას — თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის, მშვიდობისა და ბედნიერების საზოგადოებას.

საბჭოთა დელეგაცია ვარშავაში გაემგზავრა

ვარშავაში, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი რ. ი. მალინოვსკი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ვარშავაში გამგზავრების დროს დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ვ. ი. ვორონოვმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ი. მიკოიანმა, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა ვ. ვ. გრიშინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ლ. თ. ილიჩოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, ა. პ. რუდაკოვმა, ვ. ნ. ტიტოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა დ. თ. უსტინოვმა, კ. ნ. რუდნევმა, მ. ა. ლესეჩკომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ვ. სემიჩასტნიმ, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ვ. ნ. მალინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა კ. პ. ჩერნიაევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამგის პირველმა მოადგილემ ლ. ნ. ტოლკუნოვმა, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეებმა ნ. ა. გუნდობინმა, ს. გ. ლაპინმა, ვ. ს. სემიონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

დელეგაცია გააცილა აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში ედმუნდ პშრულკოვსკიმ. (საკდესი).

ტაჯიკეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი კრემლში

მოსკოვი ხალხის ტალანტებით მდიდარი მშობლიური მხიური მხარე გააცნეს მოსკოველებს თავიანთი კონცერტით ტაჯიკელმა მომღერლებმა, მოცეკვავეებმა და მუსიკოსებმა. სადღესასწაულო პროგრამა „მზისა და მთების ქვეყნის მელოდიები“, რომელიც პირველად შესრულდა 15 იანვარს კრემლის ყრილობათა სასახლეში, მათ მიუძღვნეს ტაჯიკეთის სსრ და რესპუბლიკის კომპარტიის ორმოცი წლისთავს.

ტაჯიკელმა მსახიობებმა თავიანთი კონცერტის ბევრი ნომერი უძღვნეს ლენინსა და პარტიას, ხალხთა მეგობრობას, შრომასა და მშვიდობას. ამ საღამოს მოსკოველები გაეცნენ აგრეთვე ტაჯიკეთის უაღრესად თავისთავად ხალხურ ხელოვნებას, რომელსაც საუკუნოვანი ტრადიციები აქვს.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ვ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ლ. თ. ილიჩოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, აგრეთვე ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის ხელმძღვანელები. (საკდესი).

ა. ი. მიკოიანმა მიიღო თურქეთის ელჩი ჰ. ე. იშიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა 16 იანვარს კრემლში მისი თხოვნით მიიღო თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ჰ. ე. იშიკი და ჰკონდა მასთან მეგობრული საუბარი.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების სემინარი

ხუთ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პირველი მდივნების სემინარი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის პ. ა. როდიონოვის მოხსენება „მუშაობის ლენინური სტილის ძირითადი ნიშნები“; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის დ. ბ. სტურუას მოხსენება „პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობა და ამოცანები“; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ა. გეგეშიძის მოხსენება „პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საწარმოთა ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში“; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის შ. ი. ბანუშვაძის მოხსენება „გასული საოფლო-სამეურნეო წლის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები 1965 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში“; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ი. კუბატელის მოხსენება „პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები“; რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. ი. ჩოგოვაძის მოხსენება „გავადიდოთ ადგილობრივი საბჭოების როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში“; სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკის ვ. ვ. ზაგლადინის მოხსენება „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე“; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის ს. ი. ხოსროშვილის მოხსენება „პარტიული მეურნეობა. კომუნისტების აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმის დაყენება“; გაზეთ „იზვესტიის“ მომამზადებელის ბ. ა. მაჩავეანის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობა“; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის თავმჯდომარის დ. ვ. ბელაშვილის მოხსენება „კომუნისტთა პერსონალური საქმეების განხილვა“; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილის ო. ს. კერძაიას მოხსენება „პარტიის რიგების ზრდის რეგულირების საკითხები და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა“; საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის შ. ა. დოლიძის მოხსენება „პროფკავშირული მუშაობის ზოგიერთი საკითხი“.

სემინარის საბოლოო მეცადინეობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ სიტყვა წარმოთქვა იმის შესახებ, თუ რა ამოცანები აქვთ დასახული რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის (1964 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს რუსთაველის დიდი ქმნილების საწარმოები, იყვნენ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, გაეცნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მუშაობას. (საკდესი).

ჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

ვინც მოუვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.

ჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!

მსოფლიო ამ დღეებში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თხოვნას, რომ 1965 წლის 1 მარტამდე დასავლეთ გერმანიის სასამართლო ორგანოების განკარგულებაში გადასცენ მასალები ნაცისტთა დანაშაულის შესახებ, რომლებიც სსრ კავშირში აქვთ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის 16 იანვარს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის შემდეგი შინაარსის საპასუხო ნოტა:

საბჭოთა მთავრობამ 1964 წლის 24 დეკემბრის განცხადებაში ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის განზრახვის გამო 1965 წლის მაისიდან შეწყვიტოს ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო დევნა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის „ხანდაზმულობის ვადის დამთავრების“ გამო. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ არგუმენტაცია, რომლის დახმარებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს გაამართლოს თავისი გადაწყვეტილება, რომ 1965 წლის მაისიდან შეწყვიტოს ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო დევნა, მოკლებულია რაიმე პოლიტიკურ და იურიდიულ საფუძველს.

საბჭოთა მთავრობას სურს აღნიშნოს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპთა შესაბამისად ყველა სახელმწიფოს ეკისრება მოვალეობა გამოიძიოს დანაშაული მშვიდობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ და დასჯოს დამნაშავენი. ეს სავსებით ეხება აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. რომელსაც ეკისრება კიდევ ის სპეციალური მოვალეობა, რომ სასამართლო პასუხისგებაში გადასცეს და დასაჯოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ნაცისტი სამხედრო დამნაშავე.

საბჭოთა მთავრობა თავის უფლებათა და ვალდებულებათა შესაბამისად შემდგომშიც ყველა ღონისძიებას განახორციელებს ჰიტლერელთა დანაშაულის გამომძღვანებისათვის.

საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობს იმით, რომ ნაცისტ დამნაშავეენი, რომლებმაც ჩაიდინეს საშინელი დანაშაული მშვიდობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ, არავითარ შემთხვევაში, არავითარ ვითარებაში არ უნდა გადაურჩნენ სამართლიან სასჯელს.

სსრ კავშირისა და მალის თანამშრომლობა

ბამაკო, 15 იანვარი. (საკდესი). დღეს „პარტია სუდანის კავშირის ორგანო გაზეთი „ესორი“ აქვეყნებს ანგარიშს, რომ მალის ინფორმაციისა და ტურიზმის მინისტრმა მამადუ გოლოგომ მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი შ. რ. რაშიდოვი. შეხვედრის ღროს განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და მალის რესპუბლიკის ურთიერთობას ინფორმაციის დარგში.

გაზეთი „ესორი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის პარტიული დელეგაციის წევრებმა და მალის რესპუბლიკის ინფორმაციისა და ტურიზმის სამინისტროს ხელმძღვანელებმა გამოთქვეს სრული კმაყოფილება იმ შედეგების გამო, რომლებიც მოჰყვა შეხვედრას. ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს ქვეყნების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას და მთლიანად სოციალიზმის მშენებლობას.

სპეციალური დელეგაციის ვარშავაში

ვარშავა, 16 იანვარი. (საკდესი). გუშინ ვარშავის განთავისუფლების 20 წლისთავის დღესასწაულზე პოლონეთის დედაქალაქში ჩამოვიდა მოსკოვის საქალაქო საბჭოს დელეგაცია მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ვ. თ. პრომისლოვის მეთაურობით.

თურქეთი ადასტურებს

ანკარა, 15 იანვარი. (საკდესი). **თურქეთმა გადაწყვიტა უარი თქვას ნატოს მრავალმხრივ ატომურ ძალებში მონაწილეობაზე, ნათქვამია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში ანატოლიის საგენტოს კორესპონდენტისადმი.**

თურქეთი, აღნიშნულია განცხადებაში, სამუშაო ჯგუფში შევიდა ნატოს რვა წევრს შორის. ამ ჯგუფის მიზანია განიხილოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის საკითხი. ამასთან თურქეთმა წამოაყენა პირობა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ატომურ ძალებში მონაწილეობის შესახებ მიიღებს მას შემდეგ, რაც გაარკვევს ამ პროექტის ხასიათს, არსსა და ფინანსურ მხარეს.

საგანგებო თათბირი

ნაირობი, 15 იანვარი. (საკდესი). **კენიის პრეზიდენტმა ჯომო კენიატამ გამოაცხადა, რომ 29 იანვარს ნაირობში მოწვეულია აფრიკის ქვეყნების ეროვნების ორგანიზაციის კონგოს საკითხთა სპეციალური კომისიის საგანგებო თათბირი.**

ნიქსონი კარიერაზე ფიქრობს

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ვიცეპრეზიდენტი რ. ნიქსონი, რომელიც ამ ბოლო დროს მთელ რიგ კომპანიათა ადვოკატის სახელოებზე მოღვაწეობდა ნიუ-იორკში, აირჩიეს ხარსკოს კორპორაციის დირექტორად. ეს დიდი კონცერნი უმთავრესად აწარმოებს ფოლადს. დიდ კარიერას რომ ვერ მიაღწია პოლიტიკასა და იურისპრუდენციაში, ნიქსონმა გადაწყვიტა ხელი მიეყოს მეწარმოებას.**

ცანზანიიდან გააქვავს ორი ამერიკელი დიპლომატი

ლონდონი, 16 იანვარი. (საკდესი). **გუშინ ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ წინადადება მისცა ორ ამერიკელ დიპლომატს 24 საათში დატოვონ ამ ქვეყნის ტერიტორია. როგორც რესუბლიკის პრეზიდენტმა ჯულიუს ნიერერემ განაცხადა, გაძევების მიზეზი გახდა ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დარ-ეს-სალამის საელჩოს მრჩეველი რობერტ გორდონი და ზანზიბარელი კონსული ფრენკ კარლუჩი ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას. ამას იუწყება რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი.**





ახალი უნგრეთში წლითიწლობით იზრდება ასიგნებანი სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობისათვის. ახალმწიფოს ხარჯზე ჩინებულად მოწყობილი საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების აგება მშრომელთა რეალური შემოსავლის გადიდების ერთ-ერთი წყაროა.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ვესპრემის ოლქის საავადმყოფოს ახალი კორპუსი; მარჯვნივ — მის ერთ-ერთ საოპერაციოში.
ფოტო მტი-საკდესისა.

კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის ხსოვნისათვის

ბერლინი, 15 იანვარი. (საკდესი). **დღეს 46 წელი შესრულდა გერმანიის მუშათა კლასის საქმისათვის გამოჩენილ მებრძოლთა კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ვერაგული მკვლელობის დღიდან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა ბეჭდავს მასალებს გერმანიაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ამ მამაც მებრძოლთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.**

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს კარლ ლიბკნეხტის ისტორიულ დამსახურებას, რომელმაც პირველად გადაჭრით ამხილა გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული ხასიათი, გაილაშქრა ომისა და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს: საქმე, რომელსაც კ. ლიბკნეხტმა და რ. ლუქსემბურგმა სიცოცხლე შესწირეს, ხორციელდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც საფუძველი ეყრება მთელი გერმანელი ხალხის ბედნიერ მომავალს. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, ხაზს უსვამს „ნოიეს დოიჩლანდი“, განუხრელად ასრულებს კარლ ლიბკნეხტის ანდერძს — იარონ ლენინური გზით სოციალიზმისაკენ და ყოველ, ღონისძიებით განამტკიცონ ლენინის მოძმე პარტიასთან მეგობრობა.

თუვლმა ტრანსპორტის მოძრაობა შეაჩერა

დიდი თოვის შედეგად ირანის ჩრდილოეთ რაიონების ბევრ გზებზე შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა. ნამქერის გამო გზათა მინისტრმა განკარგულება გასცა დაკეტონ გზა, რომელიც კერეჯიდან კენდევანის უღელტეხილით ჩალუსამდე მიდის (კასპიის ზღვის სანაპირო). გორგანდან თეირანში მატარებლები დიდი დაგვიანებით მოდის. (საკდესი).

ახალი კომეჯა

პეკინი, 15 იანვარი. (საკდესი). **როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა ძიძინშანის ასტრონომიულმა ობსერვატორიამ ნანკინში 11 იანვარს აღმოაჩინა ახალი კომეტა კიბოს თანავარსკვლავეედში, რომელსაც აქვს მეთხუთმეტე ვარსკვლავიერი სიდიდე.**

ეს უკვე მეორე კომეტაა, რომელიც უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე ძიძინშანის ობსერვატორიამ აღმოაჩინა.

ვ. ულბრიხტი შეხვდა ა. გრეჩკოს

ბერლინი, 15 იანვარი. (საკდესი). **როგორც დღეს აქ ოფიციალურად გამოცხადდა, 14 და 15 იანვარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი ეთათბირებოდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ა. ა. გრეჩკოს. თათბირებში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ე. ხონეკერმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გ. პოფმანმა, აგრეთვე გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალმა არმიის გენერალმა ი. ი. იაკუბოვსკიმ და არმიის გენერალმა ვ. ვ. კურასოვმა.**

თათბირებმა ჩაიარა გულითადი და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში.

დღეს ვ. ულბრიხტმა გამართა სადილი ა. ა. გრეჩკოს პატივსაცემად. სადილზე თათბირის მონაწილეებთან ერთად იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ო. ვინცერი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი.

სოციალისტური იდეების აქტიური პროპაგანდისტი

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესი). **აქ გაიმართა სახეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა პროგრესული გამომცემლობა „ინტერნეშნლ პაბლიშერსის“ შექმნის 40 წლისთავსა და ამ გამომცემლობის დამაარსებლის ალექსანდრე ტრახტენბერგის დაბადების 80 წლისთავს.**

სახეიმო სხდომაზე გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გეს ჰოლი, სოციალისტური პარტიის აღმასკომის წევრი ნორმან თომასი, ცნობილი ზანგი მომღერალი და საზოგადო მოღვაწე პოლ რობსონი და სხვები. მათ აღნიშნეს, რომ გამომცემლობამ დიდი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწინავე სოციალისტური აზრის გავრცელების საქმეში.

საჯაროვდება ეროვნული ბანკი

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ **დღეს აშუქებს ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას დამატებითი სამხედრო დახმარება გაუწიონ სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმს. გაზეთი წერს, რომ ეს დახმარება შესაძლებელს გახდის გადიდდეს სამხრეთ ვიეტნამის არმია კიდევ 100 ათასი კაცით. ფრანგული „ფიგარო“** აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აფართოებენ საომარ მოქმედებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ბომბავენ დასახლებულ პუნქტებს ლაოსში.

სარედაქციო სტატიაში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ **წერს სიხლიანი რეპრესიების შესახებ, რომლებსაც თეთრკანიანი დაქირავებულნი და ჩომბეს ჯარები აწყობენ სტენლიფილსა და მის გარეუბნებში. გაზეთის სიტყვით, ამ უკანასკნელ დღეებში იქ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დაზოცეს ხუთასამდე კაცი.**

დასავლეთის პრესა **გაცხოველებით განიხილავს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ვილსონის მომავალ გამგზავრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც თებერვალში უნდა მოხდეს. ამავე დროს ფრანგული „ორორი“** **აღნიშნავს, რომ ვილსონმა გადაწყვეტა გადადოს ვიზიტი საფრანგეთში. გაზეთის აზრით, ეს ფაქტი მოწმობს, რომ „რამდენადმე შეირყა ურთიერთობა ლონდონსა და პარიზს შორის“.**

დასავლეთგერმანულმა“ **ნოიე რაინ-�itunგმა“** **დაბეჭდა ინტერვიუ გერმანიის ფედერაციულ რეპუბლიკის [illegible] ... ცნობილი, რომ ბონი აპირებს ბუნდესტაგში გაიყვანოს კანონპროექტი „სავანგეთო კანონმდებლობის შესახებ ჯერ კიდევ ბუნდესტაგის არჩევნებამდე, რომელიც 1965 წლის შემოდგომაზე უნდა გაიმართოს“.**

საფრანგეთის გაზეთები **ბეჭდავენ ინფორმაციას, რომ მოხდა „კონფლიქტი“ მთავრობასა და მეწარმეებს შორის, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ეგრეთწოდებული „ეკონომიური სტაბილიზაციის „პოლიტიკით. ამასთან დაკავშირებით პრესა აღნიშნავს, რომ, მეწარმეთა აზრით, „ეკონომიური სტაბილიზაციის“ პოლიტიკა ბოჭავს მათს საქმიანობას.**

ინგლისური „ფაინენშლ ტაიმსი“, „დეილი ტელეგრაფი“ **და სხვა გაზეთები წერენ, რომ კვლავ მატულობს ფასები. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დღეიდან დიდდება კიდევ 280 სახეობის საქონლის ფასები.**

დასავლეთის პრესა **იუწყება, რომ სერიოზულად ავად არის ჩერჩილი.**

ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო“ **მოწინავე სტატიას უძღვნის ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებს. (საკდესი).**

თეთრი სახლის ბრძანებით

ვაშინგტონი, 16 იანვარი. (საკდესი). **შეერთებული შტატები აფართოებენ საომარ მოქმედებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამერიკის შეერთებული შტატების ბოლო აგრესიული აქტი იყო ლაოსის ტერიტორიის დაბომბვა ქალაქ ბან-ბანის რაიონში, რომელსაც კონტროლს უწევენ პატეტლაოს პატრიოტული ძალები. ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ პაერიდან მიტანილი ეს იერიში, რაც არ უნდოდათ ეცნობებინათ ამერიკელი ხალხისათვის, განხორციელდა თეთრი სახლის ბრძანებით. მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ ჩამოაგდეს ორი ამერიკული ავიაგამანადგურებელი — ბომბდამშენი, პენტაგონი აიძულა გაემხილა საიდუმლოება და საზოგადოებრიობისათვის ეცნობებინა აგრესიის ეს აქტი.**

სენატორმა უ. მორზემ (დემოკრატი ორეგონის შტატისაგან) განაცხადა: ლაოსის ტერიტორიის დაბომბვა არღვევს ჟენევის შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტს. მან თქვა, რომ ამერიკელ ხალხს სურს გაიგოს, აფართოებენ თუ არა ომს შეერთებული შტატები აზიაში, და თუ ეს ასეა, რა მიზნით.

დემაგოგიური ხრიკები

ბონი, 16 იანვარი. (საკდესი). **დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომისიამ ერთსულოვნად მიიღო რეკომენდაცია შექმნას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან „განიარაღების და შეიარაღებისადმი კონტროლის უწყება“, — იუწყება დპას საგენტო. ფიქრობენ, რომ ბუნდესტაგის მიერ ამ რეკომენდაციის დამტკიცება „პრაქტიკულად უზრუნველყოფილია“.**

საკდესის კომენტატორი ვ. სეროვი ამის გამო წერს:

არაგითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის კომისიაში რეკომენდაციას, რომ ბონში შეიქმნას „აგრეთვეწოდებული განიარაღების უწყება. ეს გასაგებიცაა. რეკომენდაციას რომ აძლევდნენ ხმას, კომისიის წევრებს სავსებით ჰქონდათ გათვალისწინებული ამ წამოწყების ნამდვილი მიზნები. მათ ჩინებულად ესმოდათ, რომ ამ უწყებას არაგითარი დამოკიდებულება არ ექნება ნამდვილ განიარაღებასთან. პირიქით. იგი იქნება მოსასხურხებელი ნიღაბი, რომლითაც ბონი კვლავ გაადიდებს შეიარაღებას და შეეცდება ხელთ იგდოს ატომური იარაღი.

ვერავის ვერ მოატყუებს ბონელ პარლამენტართა დემაგოგიური ხრიკი, რომლებიც მშვიდობისმყოფელთა ნიღაბს ამოეფარნენ. ვინ არ იცის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელმაც უდიდესი არმია შექმნა დასავლეთ ევროპაში, წლითიწლობით ზრდის თავის სამხედრო ასიგნებებს, რომლებმაც მიმდინარე წელს უზარმაზარ თანხას — 20 მილიარდ მარკას გადააჭარბა და მთელი საბიუჯეტო სახსრების მესამედი შთანთქა? არავისთვის არ არის აგრეთვე საიდუმლო, რომ ბონელი სამხედრო ხელმძღვანელები თავგამოდებით ცდილობენ ამა თუ იმ გზით მიიღონ ატომური იარაღი. სულ ამ ცოტა ხნის წინათ ისინი იყვნენ ინიციატორები, იმისა, რომ ატომური ნაღმების სარტყელი შეიქმნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებზე. ცნობილია, ამ უაღრესად საშიშმა გეგმამ გამოიწვია როგორც დასავლეთ გერმანის, ისე მსოფლიო საზოგადოებრიობის ძლიერი აღშფოთება.

და თუ ბონელმა პარლამენტარებმა ეს მომენტი აირჩიეს იმისათვის, რომ მიიღონ განიარაღების მომხრეთა ხოსა, ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ისინი ისწრაფვიან მიჩქმალონ ეს აღშფოთება და უფრო შეალამაზონ ბონის საშიში პოლიტიკა. ამაო ცდებია!

ლუიჯი ლონგო მოუნოდებს

რომი, 15 იანვარი. (საკდესი). **გუშინ გაიმართა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ გააკეთა მოხსენება „იტალიის პოლიტიკური მდგომარეობა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ“, რომელშიც მოითხოვს მუშათა კლასის მოქმედების ერთობას, დემოკრატიისათვის ბრძოლაში. მოხსენება დაბეჭდილია დღეს გაზეთ „უნიტაში“. ლუიჯი ლონგომ ხაზგასმით აღნიშნა რომ მმართველი მემარცხენე-ცენტრისტული სამთავრობო კოალიცია იძულებული იყო მხარდაჭერა ეთხოვა კომუნისტებისათვის, და მიეღო მათი ხმები იტალიის პრეზიდენტის ასარჩევად. ამან დაუკარგა ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას თავისი წინანდელი პოზიციები სახელმწიფოში. მომხსენებელმა დაწვრილებით გააანალიზა ამ უდიდესი ბურეუაზიული პარტიის კრიზისი.**

მაგრამ პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ახშობს იტალიის მთელ ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებას, გაეცხადა ლუიჯი ლონგომ, გადალახული არ არის. მუშათა კლასის მდგომარეობა სულ უფრო მძიმე ხდება. ექსპლოატაცია ძლიერდება, ხელფასი მცირდება, სულ უფრო ძლიერდება სამუშაოს დაკარგვის საფრთხე. კაპიტალისტები, რომელთა მოგება სულ იზრდება, აძლიერებენ შეტევას მშრომელთა უფლებებზე. 1965 წელი, თქვა შემდეგ ლონგომ, იწყება როგორც დიდი და მძიმე სოციალური და პროფკავშირული ბრძოლების წელი. მომხსენებელმა მოითხოვა მოეწყოს დემოკრატიული დაგეგმვა იტალიაში, უზრუნველყოფილ იქნეს სრული დასაქმება, დაწესდეს საზოგადოებრივი კონტროლი კაპიტალდანდებებისადმი, გაეხორციელდეს მიწის რეფორმა, რეფორმები სახალხო განთლებაში, სოფლო თვითმმართველობასა და მთელ რიგ სხვა დარგებში.

ლონგომ ხაზგასმით აღნიშნა: მშრომელთა ბრძოლა უნდა გაიშალოს იტალიის დემოკრატიული განვითარებისათვის, იმ პროგრამული პოლიტიკური და ორგანიზაციული საკითხების გადაჭრისათვის, რომლებიც მოითხოვენ მთელი მუშათა კლასის მოქმედების ერთობას.

სკანდალური საქმე

რომი, 16 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. გონჩაროვი იტყობინება:

რომის სისხლის სამართლის სასამართლოში დაიწყო საქმის განხილვა, რომელსაც უდავო პოლიტიკური ხასიათი აქვს. საბრალდებულო სკამზე ზის პროფესორი ნიკოლა ბერნაბეი, რომელიც დაპატიმრებამდე იყო იტალიის დედაქალაქთან ახლომდებარე პატარა ქალაქ პომეციის მერი და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური მოღვაწე. ბერნაბეი და მისი თანამზრახველნი—ქრისტიანული დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები ამ პატარა ქალაქში დიდ აფერებს ეწეოდნენ: მილიონობით იღებდნენ ქრთამს, როცა მიწის ნაკვეთებს იძლეოდნენ გასაშენებლად.

უტყუარმა სამხილმა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა ყოფილი მერი, რომელმაც აღიარა, რომ იღებდა ქრთამს. მაგრამ ბერნაბეი ცდილობს დაამტკიცოს, რომ უანგარო ადამიანია. მან განაცხადა, მიღებული ფული ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციაში შევიტანეო. ბერნაბეიმ საკმაოდ დაწვრილებით ილაპარაკა სწორედ, თუ ვისგან იღებდა ქრთამს და როგორ შეჰქონდა ეს ფული ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის სალაროში.

ლენინური ტიპის მებრძოლი

ამირკავკასიის კომუნისტურმა და მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ წამოაყენა სახელოვანი პლეადა ლენინური ტიპის მებრძოლებისა, რომელთა მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა სისხლხორცეულად დაკავშირებულია მუშათა კლასის, ყველა ჩაგრული ხალხის ბედნიერი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის ბრძოლასთან.

ერთ-ერთი ასეთი მებრძოლი იყო ალიოშა ჯაფარიძე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლი.

პროკოფი აფრასიონის-ძე ჯაფარიძე (პარტიული მეტსახელი „ალიოშა“) დაიბადა 85 წლის წინათ, 1880 წლის 15 (3) იანვარს ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის სოფელ შარდომეთში. ა. ჯაფარიძე თბილისის სასასწავლებლო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში შედის არალეგალურ მარქსისტულ წრეში, ხოლო 1898 წლიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრია. იგი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო თბილისის სოციალ-დემოკრატთა რევოლუციური ბირთვისა, რომელიც ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის პირველი მარქსისტული ორგანიზაციის — „შესამე დასის“ რევოლუციური ელემენტებისა და მოწინავე მუშათაგან.

1900 წლის აპრილში ა. ჯაფარიძე მონაწილეობას იღებს თბილისის მუშათა მაისობაში, რომელიც მოეწყო მლაშე ტბის რაიონში. აგვისტოს დასაწყისში იგი აქტიურ ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა გაფიცვის მოწყობასა და ჩატარებაში, რისთვისაც დაპატიმრებულ იქნა და მალე გადაასახლეს ქუთაისის გუბერნიაში.

ა. ჯაფარიძე 1901-1904 წლებში რევოლუციურ მუშაობას ეწევა ქუთაისში. იგი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შექმნასა და მის მუშაობაში, აწყობს მუშათა გაფიცვებს. პარტიის II ყრილობის შემდეგ ა. ჯაფარიძე ტაკიცად დგება ბოლშევიზმის მხარეზე.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა 1904 წლის აგვისტოს ა. ჯაფარიძე პარტიულ სამუშაოზე გაგზავნა ბაქოში, სადაც იმ დროს მენშევიკების ძირგამომთხრელი, ოპორტუნისტული საქმიანობის შედეგად მტად ძნელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა ბოლშევიკებს. ბაქოში ა. ჯაფარიძის დიდმა ნაყოფიერმა ორგანიზატორულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ორგანიზაციების მუშაობა.

ა. ჯაფარიძე, როგორც დელეგატი ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციიდან, მონაწილეობს რსდმპ III ყრილობის მუშაობაში. აქ მან პირადად გაიცნო ვ. ი. ლენინი. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ყრილობაზე ა. ჯაფარიძემ გადაჭრით გაილაშქრა იმ დელეგატების წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ვითომც მუშებს შორის არ იყვნენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაობის უნარის მქონე ამხანაგები, რომ აერჩიათ პარტიულ კომიტეტებში. „მიკვირს, როცა ამბობენ, — თქვა ა. ჯაფარიძემ, — ისეთი მუშები არა გვყავს, რომლებსაც კომიტეტში მუშაობის უნარი ჰქონდეთო. პირიქით (ლენინი: უსმენთ! უსმენთ!), ისინი იმდენი არიან, რომ შესაძლებლობა არა გვაქვს ყველანი კომიტეტში შევიყვანოთ“. ვ. ი. ლენინმა თავის გამოსვლაში ყრილობაზე დადებითად დაახასიათა ა. ჯაფარიძის ეს განცხადება და აღნიშნა, ეს უაღრესად საგულისხმოა.

პარტიის III ყრილობიდან ბაქოში დაბრუნებისთანავე ა. ჯაფარიძე ინფორმაციას აწვდის ბაქოს ბოლშევიკებს რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ. 1905 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ჯაფარიძეს აპატიმრებენ, მაგრამ მალე ახერხებს ციხიდან გაქცევას. შემოდგომაზე მას ირჩევენ ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს შემადგენლობაში.

ა. ჯაფარიძე უდიდეს და დაძაბულ მუშაობას ეწევა შავრაზმული კონტრრევოლუციის, სტოლიპინის რეაქციის პერიოდში. იგი 1906-1909 წლებში ხელმძღვანელობს ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირის მუშაობას, შედის ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბიუროში, ხელმძღვანელობს ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციას, ბეჭდავს ბოლშევიკურ ფურცლებს, ეწევა ფარულ მუშაობას ბაქოს ნავთობის მრეწველობის ფირმებში. 1909 წლის ოქტომბერში მას კვლავ აპატიმრებენ. დაახლოებით ერთი წლის პატიმრობის შემდეგ ა. ჯაფარიძეს 5 წლით აკრძალა კავკასიის ფარგლებში ცხოვრება. ივნისის პირველი რიცხვებში ა. ჯაფარიძეს ეტაპით ასახლებენ დონეს როსტოვში. აქ იგი სათავეში ჩაუდგა აღმასრულებელ კომისიას, რომელიც რსდმპ როსტოვის ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობდა.

1911 წლის 19 მარტს ა. ჯაფარიძეს აპატიმრებენ დონის როსტოვში რსდმპ დონის კომიტეტის სხდომის დროს და ასახლებენ ვოლოგდის გუბერნიაში. გადასახლების ვადის დამთავრების შემდეგ, 1914 წლის ივნისს ა. ჯაფარიძე ჩამოდის თბილისში და სათავეში უდგება თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

1915 წლის 4 მაისს ა. ჯაფარიძეს აპატიმრებენ თბილისში და ამავე წლის 20 ივლისს გზავნიან გადასახლებაში. ნოემბრის შუა რიცხვებში იგი ჩაიყვანეს გადასახლების ადგილას — ენისეის გუბერნიის ენისეის მაზრის სოფელ კამენკაში. მაგრამ მალე ახერხებს გადასახლებიდან გამოქცევას.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ა. ჯაფარიძე აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწევა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ბაქოში. მას ირჩევენ რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის დროებითი კომიტეტის ბიუროს და გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქციის შემადგენლობაში. 1917 წლის 19 ივლისს რსდმპ (ბ) ბაქოს ორგანიზაციის საერთო საქალაქო კონფერენცია ა. ჯაფარიძეს ირჩევს რსდმპ (ბ) VI ყრილობის დელეგატად. პარტიის VI ყრილობაზე ა. ჯაფარიძე არჩეულ იქნა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. ბოლშევიკური ორგანიზაციების კავშირის სამხარეო ყრილობაზე, რომელიც თბილისში 1917 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში მიმდინარეობდა, ა. ჯაფარიძე არჩეულ იქნა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად.

1917 წლის დეკემბრიდან ა. ჯაფარიძე ბაქოს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო 1918 წლის 13 იანვრიდან მას ირჩევენ ბაქოს რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. ამავე წლის მარტში ჯაფარიძე მონაწილეობს „მუსავატელთა მიერ ბაქოში მოწყობილი კონტრრევოლუციური ამბოხების ჩაქრობაში. იგი შედის ქ. ბაქოს რევოლუციური თავდაცვის კომიტეტის შემადგენლობაში. აპრილის ბოლოს ა. ჯაფარიძეს ბაქოს რაიონის მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ირჩევენ ბაქოს საბჭოს თავმჯდომარედ. ამ ბრძოლებში ბაქოს საბჭოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. ამავე დროს იგი რჩება ბაქოს საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. 1918 წლის ივნისს, როცა ბაქოში მძიმე სასურსათო პირობები შეიქმნა, ა. ჯაფარიძეს ნიშნავენ ბაქოს სახკომსაბჭოს სასურსათო საქმის სახალხო კომისრად, ამავე დროს იგი რჩება შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და ბაქოს საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

1918 წლის ივლისის ბოლოს საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში დროებით დაეცა. ა. ჯაფარიძე სხვა ბოლშევიკებთან ერთად იღებს ზომებს

ჩემი ლექსი ყველგან გაჰქუხს!

რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან...
მხატვარი მ. ᲬᲘᲩᲘ.

ხმალი გავტყორცე, გარდვიჭერ,
ვეფხი შევიპყარ ხელითა...
მხატვარი ᲘᲠ. ᲗᲝᲜᲘᲫᲔ.

● ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲔᲠᲛᲐ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲡ“ ᲨᲘᲒ ᲩᲐᲐᲢᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ, ᲨᲘᲒ ᲩᲐᲐᲮᲕᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘ, ᲨᲘᲒ ᲩᲐᲐᲤᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲐᲔᲗᲔᲡᲘ ᲤᲘᲥᲠᲜᲘ, ᲖᲠᲐᲮᲕᲐᲜᲘ, ᲒᲠᲫᲜᲝᲒᲐᲜᲘ.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.

● ᲡᲣᲚᲛᲜᲐᲗᲝ, ᲛᲐᲓᲚᲘ ᲨᲔᲜᲡ ᲒᲐᲛᲭᲔᲜᲡ,
ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲡᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲨᲝᲜᲔᲚᲡ.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

● ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲒᲘᲕᲔ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲮᲛᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲨᲝᲗᲐᲡᲘ... ᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲕᲔᲭᲐ ᲙᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲒᲔᲜᲘᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲦᲕᲘᲫᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲘᲡᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲗᲔᲚ ᲔᲠᲡ, ᲛᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲐᲕᲚᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲝᲙᲣᲡᲨᲘ, ᲛᲝᲣᲧᲠᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ.

ᲕᲐᲫᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ.

● ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲡᲔᲢᲧᲕᲐᲐ,
ᲐᲠ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐ ᲛᲔ ᲡᲮᲕᲘᲡᲐ,
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲔᲓᲕᲐᲐ
ᲘᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲕᲘᲜᲔᲛᲔ ᲛᲔᲡᲮᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲪᲐᲑᲘᲫᲔ.

ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲦᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲯᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲞᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲔᲤᲔᲛ, 1712 ᲬᲚᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ. ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გᲘᲡ ᲛᲔ Წ. „ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲘ“ — ᲢᲔᲥᲡᲢᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ - ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ.



ᲛᲝᲠᲔᲓ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐ Მ. ᲑᲠᲝᲜᲚᲛᲔ 1841 ᲬᲚᲘᲡ �პᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓ — Დ. ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ 1846 ᲬᲚᲘᲡ �პᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘᲕᲔ.

ᲑᲐᲡᲣᲚ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ Ვ. ᲬᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 1888 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲘᲩᲘᲡ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ. ᲞᲝᲛᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘᲪ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ Ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, Ა. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, Გ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ (ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ), Რ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ, Ი. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ, Ი. ᲛᲣᲜᲐᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝ�გᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ Д. ᲤᲐᲠᲘᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ (1903 Წ.), Ს. ᲙᲐᲪᲐᲑᲐᲫᲘᲡ (1913 Წ.) ᲘᲣᲡᲢ. ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲘᲡ (1914 Წ.), Ა. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ (1934 Წ.), Პ. ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲥᲕᲐᲡ (1953 Წ.) ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲡ“.

1937 ᲬᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ ᲞᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ. ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲨᲘ ᲗᲘᲗᲘᲛᲪᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲛ ᲢᲔᲥᲡᲢᲡ ᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑᲡ.

ᲐᲥᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲙᲐᲙᲐᲪ ᲨᲐᲜᲘᲫᲛᲛ ᲞᲘᲠᲒᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲐᲦᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ — ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ.

ᲐᲛᲯᲐᲛᲐᲓ ᲞᲝᲛᲐ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ Ა. ᲨᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲓᲐ Ა. ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ. ᲮᲝᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲕᲘᲔᲑᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ. ᲞᲝᲛᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲖᲣᲡᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ 1957 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ.

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ.

ᲑᲐᲠᲔᲚᲘᲔᲤᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲮᲝ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ Ი. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲮᲔᲚᲡᲐᲒᲝᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲗᲮᲚᲘᲡᲒᲝᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲘᲡ ᲨᲝᲛᲝᲓᲒᲐᲓᲡᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ.

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲚᲝᲒᲘᲗ 160 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 1802 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲡᲐᲜᲥᲢ-�პᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ �გᲐᲛᲝᲕᲓᲐ ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲑᲝᲚᲮᲝᲕᲘᲢᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ, ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲞᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲝ�გᲘ — „ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“... ᲐᲥᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲡᲢᲠᲝᲤᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲙᲠᲘᲪᲘᲘᲗ.

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲐᲡᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

ᲑᲝᲚᲮᲝᲕᲘᲪᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲘᲛᲓᲠᲝᲜᲓᲔᲚ ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲘᲒᲘ ᲘᲗᲐᲠᲒᲛᲐ ᲨᲔᲛᲐᲒᲐᲚᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲐᲓ, ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲐᲓ, ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲐᲓ. ᲪᲮᲠᲐᲓᲘᲐ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲓᲐ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ Კ. ᲑᲐᲚᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. 1917 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲬᲘ�გᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲞᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ. ᲑᲐᲚᲛᲝᲜᲢᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 1933 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲨᲘ.

ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲪᲘᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ Დ. ᲒᲣᲚᲘᲐᲡ ᲛᲘᲗ ᲐᲨᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“. ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲮᲕᲝᲗᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ Დ. ᲒᲣᲚᲘᲐᲡ ᲛᲘᲗ ᲐᲨᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“. ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ Დ. ᲒᲣᲚᲘᲐᲡ ᲛᲘᲗ ᲐᲨᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲨᲝᲗᲐᲡ ᲞᲝᲛᲐ, ᲮᲚᲝᲚᲔ 1943 ᲬᲚᲘᲡ Მ. ᲨᲐᲕᲚᲔᲠᲗᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲗ ᲝᲡᲑᲘᲪ ᲛᲨᲝᲜᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲗ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ.

ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲪᲘᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲛᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ Კ. ᲑᲐᲚᲛᲝᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ. ᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲛᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲐᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐᲓᲐ ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲘᲒᲜᲘᲗᲘ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ.

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲘᲗ ᲐᲡᲐᲮᲚᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ Კ. ᲑᲐᲚᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲠᲣᲚᲐ. 1917 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲬᲘᲗᲠᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲞᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ. ᲑᲐᲚᲛᲝᲜᲢᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 1933 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ“ ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲣᲪᲘᲠᲔᲑᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲡᲐᲜᲢ-ᲘᲐᲒᲝᲛᲘ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲔᲚᲐᲰᲐᲠᲐᲙᲔᲒᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲐᲠᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲒᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐᲒᲝᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲨᲘᲒ ᲩᲐᲐᲢᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ, ᲨᲘᲒ ᲩᲐᲐᲮᲕᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘ, ᲨᲘᲒ ᲩᲐᲐᲤᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲐᲔᲗᲔᲡᲘ ᲤᲘᲥᲠᲜᲘ, ᲖᲠᲐᲮᲕᲐᲜᲘ, ᲒᲠᲫᲜᲝᲒᲐᲜᲘ.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.

● ᲡᲣᲚᲛᲜᲐᲗᲝ, ᲛᲐᲓᲚᲘ ᲨᲔᲜᲡ ᲒᲐᲛᲭᲔᲜᲡ,
ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲡᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲨᲝᲜᲔᲚᲡ.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

● ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲒᲘᲕᲔ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲮᲛᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ

კინო — ადამიანი იმარჯვებს

მაყურებელთან უშუალო კონტაქტში ხელოვნების ნაწარმოები მალე იქცევა ხოლმე საზოგადოებრივ ფაქტად. ახლაც, როცა ეკრანზე გამოვიდა ახალი ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა“, იგი უცებ შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, გამოიწვია კამათი, სჯა-ბაასი...

„ჯარისკაცის მამა“ რეჟისორ რ. ჩხეიძის უკვე მეხუთე დამოუკიდებელი ფილმია. მისი „მაგდანას ლურჯა“, რომელიც თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაიღო, და პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარიც — „ჩვენი ეზო“ ეკრანზე იმ დროს გამოჩნდა, როცა თავიანთი პირველი ფილმებით გამოვიდნენ დღეს უკვე სახელმოხვეჭილი საბჭოთა კინორეჟისორები — ჩუხრაი და კულიჯანოვი, როსტოცკი და სეგელი, ხუციევი და შვეიცერი... ჩვენს კინოხელოვნებაში ამ ახალგაზრდა რეჟისორების მოსვლას საზღვარგარეთ ხშირად საბჭოთა კინოს „ახალ ტალღას“ უწოდებენ.

ამჯერად ნუ ვიკამათებთ თვით ტერმინის სიზუსტეზე. ვთქვათ მხოლოდ, რომ ამ მხატვრებმა თან მოიტანეს მრავალი სიახლე, მეტი ყურადღება დაუთმეს ნოვატორულ საწყისებს ჩვენს ხელოვნებაში. საბჭოთა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისადმი განსაკუთრებულმა ყურადღებამ, ჩვენი ადამიანის ფიქრებსა და მისწრაფებებზე, მის შინაგან სამყაროზე მახვილმა დაკვირვებამ განსაზღვრა ამ შემოქმედთა მხატვრული პრინციპები, მათი ფილმების ხასიათი, ფორმა, სტილისტიკა. მართალია, აქ საგრძნობი იყო წინა — განსაკუთრებით 40-იანი წლების კინოსურათებთან ერთგვარი შეკამათების ტენდენციაც, მაგრამ ამ მხატვართა შემოქმედებაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება არა ესთეტიკურ პოლემიკას, არამედ ჩვენს თანამედროვე სინამდვილესთან, მის შემოქმედ ადამიანთან დამოკიდებულებას.

კადრები ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“.

აქვე უნდა ითქვას, რომ დღეს მსოფლიო კინოხელოვნებაში კვლავ გრძელდება კამათი ადამიანის ბუნების გამო. სხვადასხვა იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის, მრწამსის მხატვრები კამათობენ ადამიანის დანიშნულებაზე, იმაზე, თუ რა იმარჯვებს მასში, ბნელი და ბორტი თუ ნათელი საწყისები, ცხოველური ინსტინქტები თუ ამაღლებული ადამიანური გრძნობები... სინამდვილეში ეს არის რეალისტური შემოქმედების შერკინება ანტირეალიზმთან. დღევანდელ ვითარებაში კი იგი იდეოლოგიურ, პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა. დღეს ჰუმანიზმისა და ანტიჰუმანიზმის ამ ბრძოლაში, საბჭოთა კინოხელოვნების ბევრ სხვა გმირთან ერთად, ებრძმება ქართველი კაცი გიორგი მახარაშვილი — ჯარისკაცის მამა, თვითონ ჯარისკაცი და მებრძოლი ნათელისათვის, სიკეთისათვის.

ფილმ „ჯარისკაცის მამის“ ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ მასში უბრალო საბჭოთა ადამიანი დახატულია როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, კაცთმოყვარე, როგორც გმირი, ამ სიტყვის ჭეშმარიტ ამაღლებული გაგებით. ეს გმირობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმის შედეგად, რომ იგი უკიდურესად დაძაბული ნებისყოფის, საგანგებოდ კონცენტრირებული სულიერი ძალების რაღაც არაჩვეულებრივ და განუმეორებელ მომენტში უეცარი აფეთქების შედეგი კი არ არის, არამედ დიდი სახალხო საქმისათვის თავდადების ჩვეულებრივი გამოვლინებაა.

ამდენად ახალი ქართული ფილმის გმირი ნამდვილად მნიშვნელოვანი და ძლიერ საინტერესო ადამიანია. ამას იმისათვის კი არ ვამბობთ, რომ დავიცვათ ჩვენს კრიტიკაში მიღებული ეთიკური ნორმა და არავინ შემოგვდავოს — აქაო და, ყველა საბჭოთა ადამიანი ერთნაირად საინტერესოა ხელოვნებისთვისო. — არამედ იმიტომ, რომ გიორგი მახარაშვილი, ისეთი, როგორც დაგვიხატეს იგი სცენარისტმა ს. ფეფერმა, რეჟისორმა რ. ჩხეიძემ და მსახიობმა სერგო ზაქარიაძემ, თავისი კონკრეტულობის მიუხედავად, მაღალ განზოგადებას აღწევს და ნამდვილი ზნეობრივი მაგალითის ძალის შემცველად იქცევა.

ფილმში არის ასეთი ეპიზოდი: მეომარი შვილის კვალს ადევნებული გიორგი გერმანიის რომელიღაც ქალაქის გარეუბნაში პატარა ვენახს წააწყდება. მივა, მიუალერსებს ვაზს: „შენ აქ რამ მოგიყვანა, შე მადლიანო, ჰა?.. როგორ გამახარე, შე ბარაქიანო, შენა!“ ამას ისე ამბობს, თითქოს ბალღს, ტკბილად ეალერსებოდეს. და თქვენ გრძნობთ, როგორ მონატრებია ჯარისკაცის გამრჯე ხელებს მშვიდობიანი შრომა... ამას მოსდევს სცენა, რომელშიც საოცარი ძალით ვლინდება მშრომელი ადამიანის სულიერი სისპეტაკე და ჰუმანისტური შემართება, ბუნებისშვილობის დიდი გრძნობა და სინდისი. ახალგაზრდა ტანკისტი მართვის გამოსაცდელად ტანკს დაძრავს და ანგარიმშეცემლად პირდაპირ ვენახში შეაგდებს მანქანასა. შეძრწუნებული გიორგი თავგანწირვით წინ გადაუდგება რკინის გიგანტს. აღშფოთებული ბევრ მწარე სიტყვას გააგონებს ახალგაზრდა ტანკისტს. — „აბა, აგერ გერმანელი ბიჭუნა (მიუთითებს ახლო მდგომ ბავშვზე), ესროლე, რაღა!“ რა ფაშისტი მე მნახეო, ჩაიბუტბუტებს დარცხვენილი, გაოგნებული ტანკისტი და გაეცლება. გიორგი კინოში, ალბათ ცალკე, სპეციალური წერილებიც დაიწერება. მაგრამ ამჯერად უნდა ითქვას, რომ ამ ფილმის თითქმის მთელი ტვირთმძიმობა სწორედ მან გადაიტანა — ღირსეულად, ნამდვილი შემოქმედებითი სიჯიუტით, და ნაწარმოების წარმატება განაპირობა.

რეჟისორი კი... რეჟისორი, როგორც საუკეთესო შემთხვევებში იტყვიან ხოლმე, „კვდება“ მსახიობში, „კვდება“ ფილმში. ამჯერად ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ როცა რ. ჩხეიძემ ფილმ „ზღვის ბილიკის“ შემდეგ სწორედ ეს სცენარი აირჩია დასადგმელად და თანაც ცნობილი გახდა, თუ ვინ შეასრულებდა მთავარ როლს, ბევრი ამას ეჭვით შეხვდა. ფაქტია, რომ ამ სცენარში ძლიერ ბევრი პირობითობაა დაშვებული, ბევრი რამ განსაკუთრებულ შემთხვევითობაზე. „ხომ შეიძლებოდა ასე მომხდარიყოს“ პრინციპზეა აგებული, რეჟისორს კი წინა ორ სურათში — „განძიც“ და „ზღვის ბილიკშიც“ აშკარად მიუთითებდნენ ყალბ მრავალმნიშვნელობაზე, გართულებულ სიმბოლიკაზე, იმაზე, რომ ამ ნაწარმოებებში ადამიანები კარგავდნენ კონკრეტულობას და ერთგვარად გახყენებული აზრის მატარებლად იქცეოდნენ. რ. ჩხეიძე კი ჯიუტი მხატვარია. ამიტომაც შიშობდნენ — ამჯერადაც ხომ არ ეშუკრებოდა მას იგივე საფრთხე.

მართლაც, რა იყო სცენარ „ჯარისკაცის მამაში“? — მოხუცი გლეხი გიორგი გრძელ გზას დაადგება ჰოსპიტალში მყოფი დაჭრილი შვილის სანახავად. შვილი ადგილზე აღარ დახვდება—გამოჯანსაღებულა და თავის ნაწილს დაბრუნებია... ეს პირობითობა ამოსავალია. დასაშვებია იგი, თუ არა? შემდეგ ერთს — მეორე, მესამე და ა. შ. პირობითობა მოსდევს: — სამოც წელს მიღწეულ მოხუცს მოქმედ არმიაში ჩარიცხავენ... გზაში წააწყდება კედელეზე წარწერილ შვილის სახელს... შემდეგ, თოვლში ხოხვისას, აღმოაჩენს საბჭოთა კავშირის საზღვრის აღმნიშვნელ ბოძს და კვლავ აღმართავს... და ბოლოს, გერმანულ ქალაქში, ერთ ბლოკირებულ სახლში, რომლის მეორე სართულზე გერმანელები გამაგრებულან, ხოლო მესამე და პირველი სართულები ჩვენებს უჭირავთ, ზემოდან ჩამოესმის ქართული სიმღერა, იცნობს შვილის ხმას. შემდეგ ჭურვის აფეთქება, გოდერძი იღუპება და მოხუცი მხოლოდ მკვდარ შვილს ნახავს...

ფილმის მთელ ღირსებად რომ ეს სქემა დარჩენილიყო, დღეს უაზრობა იქნებოდა მის გამო შუბების მსხვრევა. საქმე ის არის, რომ რეჟისორმა სცენარში დაინახა ის ძირითადი და საუკეთესო, რომელიც როგორც მას, ისე მსახიობს საშუალებას მისცემდა თანმიმდევრულად და ბოლომდე გამოვლინებინათ, გაეხსნათ გმირის ხასიათი, ქვეყნის ავბედობის ჟამს საერთო-სახალხო მოვლენებთან მისი შინაგანი დამოკიდებულება. და თუმცა „ჯარისკაცის მამაში“ ბევრი პირობითობაა, უფრო მეტი, ვიდრე ერთ ნაწარმოებს ეპატიება, რეჟისორისა და მსახიობის ოსტატობის შედეგად ბევრმა ისეთი გადაწყვეტა და ფორმა მიიღო, რომლის უფლებაც ხელოვნებას აქვს.

ცხადია, აქ თავისთავად დგება ჟანრის საკითხიც. ჯერ კიდევ რ. ჩხეიძის „მარა წყნეთელშიც“ საგრძნობი იყო ერთი რომელიმე ჟანრის ვიწრო ჩარჩოების რღვევის ტენდენცია. „ჯარისკაცის მამაც“ დასაწყისიდან თვით ფინალამდე კომედიურ პლანში ვითარდება. სწორედ ასეთი გადაწყვეტა განაპირობებდა სცენარში დაშვებული მრავალი პირობითობის გამართლებას. მაგრამ იგი მაინც არ არის კომედია. ფინალში მამას თვალწინ უკვდება შვილი. ყველაფერი უცებ შემობრუნდება ტრაგიკულისაკენ, და სწორედ აქ იჩინა თავი ნაწარმოების ეთიკური და ესთეტიკური მხარის ერთგვარმა შეუსაბამობამ. ტრაგიკულმა მოტივმა თავისთავად მოითხოვა მკაცრი ცხოვრებისეული სიმართლე, ლოგიკა. აქ კი ეს სცენაც პირობითობის ფარგლებში დარჩა. ამან, ჩვენი აზრით, ეჭვის ჩრდილი მიაყენა სურათის ფინალს.

აქ აღარაფერს ვამბობ იმის თაობაზე, რომ ეს პირველი ქართული ფილმია, სადაც ნაჩვენებია დიდი სამამულო ომის ბატალიები, და ამ მხრივაც როგორც რეჟისორს, ისე ოპერატორებს ლ. სუხოვსა და ა. ფილიპაშვილს ბევრი სიძნელის დაძლევა მოუწდათ, რომ სურათი გადაღებულია მეტყველი, ლაკონიური და ძლიერ თავშეკავებული მანერით, რაშიც არანაკლები წვლილი მიუძღვით მხატვრებს ნ. ყაზბეგსა და ზ. მეძმარიაშვილს. აღარაფერს ვამბობ იმაზეც, რომ ფილმში მიღწეულია მსახიობთა შესანიშნავი ანსამბლურობა, რომ როლების თითქმის ყველა შემსრულებელი მართალი, ბუნებრივი და დამაჯერებელია...

მთავარი მაინც ის არის, რომ ეს ფილმი ნიჭიერი კოლექტივის უდავო წარმატებაა, რომ ეს არის ხელოვნება, კაცთმოყვარე ფილმი, რომელშიც არის ომიც, სისხლიც, სიკვდილიც, მაგრამ არის სიცილიც, ოპტიმიზმი, ადამიანის მაღალი ბუნების, ღირსების რწმენა.

ო. სეფიაშვილი.

„მონტე-კარლოს“ რალის სტარტი

მინსკი, 16 იანვარი. (საკადესი). აქ 3. ი. ლენინის სახელობის მოედანზე (ყარტა შიგაა „მონტე-კარლოს“ რალის. ოთხ ოთხკედან ერთი წელის ინტერვალით გაემგზავრა სტარტგეთის: ინგლისის, მოსკოვის, ბელგიისა და ფრ. კეშრიან 17 ეკიპაჟი.

ბრესტი, 16 იანვარი. (საკადესი). „მონტე-კარლოს“ რალის მონაწილე 17 ეკიპაჟმა დღეს გაიარა პირველი საკონტროლო პუნქტი — გზა მინსკიდან ბრესტამდე, რომლის სიგრძეა 353 კილომეტრი.

„ყველაზე ძველი“ განახლდა

სიდნეი, 16 იანვარი. (საკადესი). სენსაცია მოხდა „ცხრა მთას იქით“ — ტასმანიის კუნძულის ქალაქ ჰობარტში: ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა რონ კლარკმა 5.000 მეტრი გაირბინა 13 წუთსა და 34,6 წამში. 27 წლის ავსტრალიელმა მოანგარიშემ 0,4 წამით გაუსწრო ახლანდელი მსოფლიო რეკორდების „ყველაზე ძველი“ რეკორდი, რომელიც 1957 წელს დამყარა რომში შესანიშნავმა საბჭოთა სტაიერმა ვლადიმერ კუცმა.

ეს საინტერესოა

ჩვენი პლანეტის მოსახლეობა

დემოგრაფთა ანგარიშით

1964 წლის ბოლოსათვის დედამიწის მოსახლეობა დაახლოებით 3.302 მილიონ კაცს შეადგენდა. ჩვენი პლანეტის მკვიდრთა რიცხვი, დემოგრაფთა ანგარიშით, ყოველწლიურად 68 მილიონი კაცით იზრდება და, როგორც ვარაუდობენ, უკვე 1980 წელს 4.300 მილიონს მიაღწევს.

1964 წელს კაცობრიობა 68 მილიონი კაცით გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დედამიწის მოსახლეობა ყოველდღიურად 200 ათასი, საათში — 8 ათასი, წუთში — 130 კაცით იზრდებოდა. ყოველ წამში კი ჩვენს პლანეტას ორი ახალი მცხოვრები ემატებოდა!

სსრ კავშირს 1964 წელმა სამი მილიონი ახალი მოქალაქე მისცა და 1965 წლის დასაწყისისათვის ჩვენში უკვე 229 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობდა.

მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტი დედამიწის ნაკლებად განვითარებულ რაიონებში ცხოვრობს: მთელი მოსახლეობის 56 პროცენტი აზიაში, 16 ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში და მხოლოდ 28 პროცენტი — ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

ყველაზე დიდი ქალაქები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოგრაფიული წელიწდეულის მონაცემების თანახმად მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალაქია ტოკიო. მისი მოსახლეობა 10.629.525 კაცს შეადგენს. მას მოსდევს ნიუ-იორკი, რომლის მოსახლეობა მანჰეტენის, ბრუკლინის, კუინსისა და რიჩმონდის ჩათვლით 7.781.984 კაცს შეადგენს. ნიუ-იორკის ტერიტორია კი თითქმის 247 კვადრატული კილომეტრით აღემატება ტოკიოსას.

მსოფლიოს მესამე ყველაზე დიდი ქალაქია შანხაი, რომლის მოსახლეობა 6.900.000 კაცს შეადგენს. შემდეგ მოდის ქალაქები: ბომბეი (4.422.165), პეკინი (4.010.000), ჩიკაგო (3.550.404), კაირო (3.418.400), რიო-დე-ჟანეირო (3.223.408), ტიანძინი (3.220.000), ლენინგრადი (3.180.000), ლონდონი (3.179.980), სან-პაულო (3.164.804), ოსაკა (3.151.000) და მეხიკო (3.050.723).

მოცემული რიცხვები ყოველი ქალაქის ადმინისტრაციულ რაიონში მცხოვრებ მოსახლეობას ეხება.

კოლომბური სიჩქარე

ამერიკელ მეცნიერთა ანგარიშით, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის რიცხვი ყოველ 12 წამში ერთი კაცით იზრდება. ეს საკარაუდო მატების ტემპი იქიდან გამომდინარეობს, რომ ყოველ 7,5 წამში ერთი კაცი იბადება და ყოველ 17 წამში ერთი კაცი კვდება, ყოველ წამახეკვარში კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი იმიგრანტი მიდის.

მოგვადოგა; სიკვდილიანობა

შობადობის ყველაზე მაღალი დონე — 56 ბავშვი მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე — სპილოს ძვლის ნაპირზეა. თითქმის ასეთივე მაღალი შობადობაა ტოგოსა და დაგომეაში. რაიონებს შორის შობადობის ყველაზე მაღალი დონე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშია დადგენილი, სადაც გამოანგარიშების თანახმად 1000 კაცზე ყოველწლიურად 49 ბავშვი იბადება.

ტროპიკულ და სამხრეთ აფრიკის რაიონებში, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სიკვდილიანობა ათასზე 24 კაცს შეადგენს, სპილოს ძვლის ნაპირზე კი 33,3-ს აღწევს. დიდ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი სიკვდილიანობა ისლანდიაშია — ყოველ ათას მცხოვრებზე 6,8 კაცი. საშუალო სიკვდილიანობა მთელი მსოფლიოსათვის ათას კაცზე 17-ს შეადგენს.

ცხოვრების კიბეზე

1. ბავშვობაში ერთად იყვნენ, გაუყვიათ ტკბილად ლუკმა.
2. სანდრო სწავლას დაეწაფა, არჩილი კი — ჯდომას უქმაღ.
3. პირზე კოცნით მოიგონეს ინსტიტუტი, ძველი ძმობა.
4. არჩილი რომ გადიდკაცდა, არც უნდოდა სანდროს ცნობა.
5. გაიბერა დირექტორი, სალამს როგორ გაიმეტებს!
6. ვინ მიგიშვებს კაბინეტთან, მდივანი ღმერთს დაგიფეთებს.
7. მალე მოხსნეს ყოყლოჩინა, ვეღარავის ვეღარ ზარავს.
8. დღეს „ბატონოს“ ვერ მოასწრებთ, ყველას კრძალვით აძლევს სალამს.

ტექსტი ვ. ჟურულისა, მხატვარი ი. ქოჭიაშვილი.

ასე დაირწა აკვანი

ქართული სპორტის წარსულიდან

ფოსტას ჩვენს რედაქციაში ყოველდღიურად ათასნაირი ხასიათის წერილი მოაქვს. მათ შორის არის წერილები, რომელთა ავტორები საქართველოში სპორტის ამა თუ იმ სახეობის დაბადებითა და მისი განვითარების ისტორიით არიან დაინტერესებული. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ინტერესია გამოთქმული თბილისელი არქიტექტორის დ. ქავთარაძის წერილში. მას სურს იცოდეს თუ როდის დაიდო გზა საქართველოში ტანვარჯიშმა და ვინ იყვნენ ამ საქმის პიონერები.

ვფიქრობთ, ეს ინტერესოკლებული არ იქნება ჩვენი გაზეთის სხვა მკითხველებისთვისაც.

ამ თემაზე სასაუბროდ სიტყვას ვაძლევთ ქართული სპორტის ვეტერანს ა. კაიშაურს.

ქართული სპორტის ისტორიაში არის სახელები, რომლებთანაც დაკავშირებულია საქართველოში სპორტის ამა თუ იმ სახეობის აკვანის დარწევა. თავისი ისტორია აქვს ტანვარჯიშის დაბადებასაც და იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელოვანი მამულიშვილის გიორგი ეგნატაშვილის სახელთან.

მეოცე საუკუნის დამდეგს საქართველოში მოიწვიეს ჩეხები, რომლებმაც პირველებმა გაგვაცნეს თავიანთი ეროვნული სპორტი — ტანვარჯიში. ისინი მასწავლებლებად მუშაობდნენ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში. მათში მკაფიოდ გამოიკვეთა ანტონ ლუკეშის პიროვნება, რომელიც 1904 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის ვაჟთა 1 გიმნაზიაში. ანტონ ლუკეში, გარეგნულად მომხიბლავი და ტექნიკურად ძლიერი ტანმოვარჯიშე, საუკეთესო პედაგოგიური ნიჭით იყო დაჯილდოებული. მას თავდაუზოგავად უყვარდა სპორტი და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავისი საქმისათვის იწვოდა.

მისი წყალობით ვაჟთა I გიმნაზიის დარბაზი ტანვარჯიშის ცენტრად იქცა. აქ ჩეხები იმაღლებდნენ სპორტულ ტექნიკას, პედაგოგიურ ხერხებს. მათ თავიანთ სპორტულ საზოგადოება „სოკოლში“ მიიღეს სხვა ერის წარმომადგენლებიც— რუსები, ქართველები, სომხები, თათრები, ლეკები და სხვა. აქ 1903 წლიდან იწყება ვარჯიშს გიორგი ეგნატაშვილიც. მალე იგი ლუკეშის გავლენის ქვეშ მოექცა, ჩეხებს შეესისხლხორცდა, მათი ვარჯიშის მანერას ღრუბელივით იწოვდა. ყველაფერში ბაძავდა საყვარელ მასწავლებელს — სიარულში, ქცევაში, საქმიანობაში.

გიორგი ეგნატაშვილი ლუკეშის წყალობით უკვე 1905 წელს საკმაო ფიგურას წარმოადგენს, როგორც ტანმოვარჯიშე. 1907 და 1912 წლებში გიორგი მონაწილეობს პრაღაში გამართულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო პირველობებში და სამმობლოში სახელმოხვეჭილი ბრუნდება. 1909 წლიდან კი იგი კვალიფიკაციას იმაღლებს პრაღის ტანვარჯიშის უმაღლეს კურსებზე.

ამ დროისათვის ლუკეშმა მოქანცულობა იგრძნო, თავისი ძლიერი ჯგუფი ეგნატაშვილს გადასცა. — ეგნატაშვილი ახლახან დაბრუნდა პრაღიდან, მან ბევრი რამ ახალი ჩამოიტანა ტანვარჯიშისთვის და დღეიდან იგი თქვენი ხელმძღვანელი იქნებაო, — უთხრა მან ახალგაზრდა სპორტსმენებს.

1910 წლიდან გიორგი ეგნატაშვილი ქართულ გიმნაზიაში იწყებს მუშაობას და ტანვარჯიშულ წრეს აყალიბებს. სასწავლებლის ფართო ეზოში მოწაფეების ნახელავი ღერძი იდგა, რომელზეც დიდ შესვენებაზე პატარები უშნოდ კოწიალობდნენ. პირველ ხანებში შორიდან უთვალთვალებდა გიორგი მოწაფეთა ვარჯიშს. შემდეგ კი უფროსკლასელები დაიახლოვა და საკარჯიშოდ დაიბარა.

გიორგი აღტაცებაში მოიყვანა ქართველი ახალგაზრდების ცოცხლმა ბუნებამ, ასე.კარგად რომ ეგუებოდა ტანვარჯიშს — სპორტის ამ რთულ სახეობას. მასწავლებელმა თავისი სახსრებით ამერიკული ღერძი შეუძინა მოვარჯიშეებს, რაც მეტი ელფერი მისცა მეცადინეობას. ცნობილია, რომ კარგ სპორტულ იარაღზე ვარჯიში შესაძრნევად ადვილი და მოხდენილია. განსაკუთრებით კი ღერძზე, რომლის დრეკადობის მაღალი ხარისხი ხელს უწყობს ვარჯიშის ოსტატურად შესრულებას. მოვარჯიშეთა რიცხვი მატულობს, ტანვარჯიში პოპულარული ხდება.

ტანმოვარჯიშეთა ჯგუფები გაიზარდა. უძლიერესთა შორის არიან აკლადე, ჯავრიშვილი, კუბლაშვილი, ციცაშვილი, ბაქრაძე, ყარაშვილი, ლორთქიფანიძე, ინასარიძე, რცხილაძე, ბოცვაძე, გედეონიშვილი, ქვერკველაძე, ლაფერაშვილი, ონანაშვილი და სხვები. ისინი გ. ეგნატაშვილის ყოველ მეცადინეობას ხალისით ხვდებოდნენ, რადგან მათ ტრაფარეტი არ ახასიათებდა. განვლილი მასალის მძიგივით ასხმა, გამომგონებლობა — ასეთი იყო ყოველი მეცადინეობა.

ეგნატაშვილს ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა, მეცადინეობის შემდეგ თავისუფალ საათებშიც მათთან ტრიალებდა. გამოჩნდებოდა ეს ომახიანი ვაჟკაცი გიმნაზიის კიბეზე შესვენების დროს, და უმალ შემოეხვეოდნენ მოწაფეები, რომლებსაც მოლიმარი სახით მოუყვებოდა ცნობილ ტანმოვარჯიშეთა შესახებ.

გ. ეგნატაშვილი 1911 წლიდან უკვე ტანვარჯიშის მასწავლებელია და სასწავლო-სავალდებულო მეცადინეობასაც ატარებს. მან სპორტსმენთა მასობრივ მომზადებას მოაკიდა ხელი და სურს საყვარელ მასწავლებელს ლუკეშს წლის მუშაობის ანგარიში ჩაბაროს, რისთვისაც 1912 წელს აწყობს პირველ ქართულ ტანვარჯიშულ ღილას. ამის შესახებ მაშინდელი პრესა აღნიშნავდა — „ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა ბრწყინვალედ ჩაბარეს ფიზიკური აღზრდის გამოცდა“.

გ. ეგნატაშვილი ყველაზე საყვარელი მასწავლებელია ქართული გიმნაზიის ყველა მოწაფისათვის. ყველასადმი ალღოიანი მიდგომა ახასიათებდა, უაღრესად მაღალი მოქალაქეობრივი ღირსების მატარებელი, გულისხმიერი პედაგოგი იყო. მთელ თავის გამოცდილებას გაცემებით გადასცემდა ახალგაზრდობას.

ერთი წლის შემდეგ მეორედ ჩატარდა ტანვარჯიშობის ღილა ქართულ გიმნაზიაში, ამჯერად უფრო შინაარსიანად და საზეიმოდ.

ტანვარჯიშული ღილა ტრადიციად უნდა ქცეულიყო სასწავლებელში, მაგრამ ამას პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. სპორტული დარბაზი დაჭრილ მეომართა ლაზარეთად იქცა.

თბილისის ქართული გიმნაზია, როგორც ესთეტიკური აღზრდის კერა, მარტო ტანვარჯიშით არ იფარგლებოდა. გენიალური კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილისა და მისი თანამოსაქმის ანდრია ყარაშვილის თაოსნობით სასწავლებელში ფრთებს შლიდა მუსიკალური აღზრდა. ეწყობოდა კონცერტები საუკეთესოდ მომზადებულ მომღერალ მოწაფეთა გუნდის მონაწილეობით, კლასიკურ მუსიკას ნერგავდა მოწაფეთა სიმებიანი ორკესტრი. აქვე ეწყობოდა მოწაფეთა სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენები შესანიშნავი მხატვარ-აღმზრდელის ალექსანდრე მრევლიშვილის დაუცხრომელი ხელმძღვანელობით.

1918 წელს გიორგი ეგნატაშვილისა და გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით შედგა ქართველ ტანმოვარჯიშეთა 11 კაციანი ჯგუფი, რომელიც შემდგომში გადაიქცა ქართულ სპორტულ საზოგადოებად; მათ შორის იყო ქართულ გიმნაზიაში აღზრდილი რვა ტანმოვარჯიშე: დათა ჯავრიშვილი, ირაკლი ლორთქიფანიძე, არჩილ ბაქრაძე, გიორგი მერკვლაძე, ვანო მაჭავარიანი, გიგა ლაფერაშვილი, გიგა ლაზრიშვილი, გიორგი ავალიშვილი.

ამ ქართველ სპორტსმენთა ჯგუფის მონდომებამ, ენთუზიაზმმა უკვე მყარი საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ძლიერი ტანვარჯიშული სკოლის ჩამოყალიბებას და მის განვითარებას.

ა. კაიშაური.



სურათებზე: ზემოთ — გიორგი ეგნატაშვილი; ქვემოთ — თბილისის გუნდი, რომელმაც 1912 წელს პრაღაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ტანვარჯიშში პირველი ადგილი დაიკავა. ცენტრში (ზის) გ. ეგნატაშვილი.

კალათბურთელთა ვარშავის ტურნირგე

ვარშავაში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების საერთაშორისო ტურნირი, მიძღვნილი პოლონეთის დედაქალაქის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლების 20 წლისთავისადმი. შეჯიბრებაზე ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და პოლონეთის გუნდებთან ერთად გამოდიან თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს პირველი მატჩი ჰქონდათ ბელგრადის გუნდთან. დინამოელებმა აღმავლობით ჩაატარეს შეჯიბრება და გაიმარჯვეს ანგარიშით 88:75 (41:38). თბილისელთა შორის უველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო უგრეხელიძე, რომელმაც თავის გუნდს 21 ქულა შესძინა.

ცამეგი ჯერის შემდეგ

გუშინ საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მე-18 ტურში შტეინმა მოუგო პეტერსონს, ლუტიკოვმა-ბაკულინს. კორჩნოი-სუეტინის, ლეინ-ბრონშტეინის, ლიავდანსკი-ვასიუკოვის, ოსნოს-ხოლმოვისა და სახაროვ-კროგიუსის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მე უკვე ტკბილად დავბერდი!

ასმ ტკბილად დაჯიბერდი! — მითხრა დედამ უთენია და ხელსგულის ოდენა ნაჭერი გოზინაყი გადამაყლაპა.

— მე უაზროდ ნამთვრალევს მჭავე კიტრი მერჩია, მაგრამ წესი წესია, და ოქტომბერში საგანგებოდ გადანახული ნიგვზით გაკეთებული გოზინაყით ჩავიტკბანურე პირი.

სახლიდან რომ გამოვდიოდი, დამესია ოჯახი და ჯიბე-უბე კამფეტებით და გოზინაყით ისე გამომიტენეს, საშაქარლამოს საწყობს დავემსგავსე.

ერთი გავიბრძოლე, მაგრამ თავს დამესხა ყველა: ეს წესია, ტრადიციაა... — ამიხსნეს.

ტრადიცია ის არის, ოჯახში სტუმარს ტკბილს რომ მიართმევ, და არა ის, ჯიბეს რომ გაგიტენიან და... უცვლიან ერთმანეთს კამფეტებს ნაცნობები და უცნობები.

პირველად კარის მეზობელი შემომხვდა. ვეცით ერთმანეთს და ვაძგერეთ კამფეტები საკოცნელად გამზადებულ პირში!

მეოთხე სართულიდან ქვევით ჩამოსვლამდე ერთ ათ კაცს მაინც გავუცვალე კამფეტი.

ცოტა ხანში ნაგვის ყუთში ჩასაყრელადაც აღარ ვარგოდა ჩემი ტკბილეული. მალე კიდეც გადავყარე ყველაფერი და მხოლოდ სიტყვით ვულოცავდი მახლობლებს ახალ წელს.

სამსახურში დიდი ამბავი დამხვდა. „ასე ტკბილად დამიბერდი“ — ისმოდა ყოველი მხრიდან და იყო ტკბილეულის დაძალება. აქაც აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც გამომგონებლობა გამოიჩინეს. მაგალითად, ერთმა მლიქნელმა ქილით კაკლის მურაბა და კოეზი მოიტანა და უფროსებს სულ ძალის ძალით, „ასე ტკბილად დამიბერდის“ ძახილით ამოუვსო პირი.

— მე დიაბეტი... — დავიწყე ახსნა, მაგრამ დამიჭირეს პრაქტიკანტებმა და (სულ ცოტა ერთი ნახევარი კილო მაინც იქნებოდა) ჯემით ამომიტენეს პირი.

შინ რომ მივდიოდი, სამსახურის შენობის კომენდანტს მოვკარი თვალი. როგორც კი შევამჩნიე, რომ ჯიბეში ჩაიყო ხელი, გავიქეცი. გავიქეცი — გამომეკიდა. „ასე ტკბილად დამიბერდი!...“ — ყვირის კომენდანტი და მომდევს. კარებში დავეჯახე მთავარ ბუხჰალტერს. მექანიკურად გავცვალეთ კამფეტები და... ეუჩაში გავვარდი. გაჩერებაზე მაინც დამიჭირა კომენდანტმა და „ბადუშა“ კამფეტით ამივსო უბე...

ტრამვაიში ჯიბეგრილივით სულ ჯიბეებზე ვუყურებდი ხალხს. ტყვესავით ორივე ხელი მაღლა მქონდა აწეული, რადგან ჯიბეები უკვე ხილფაფით მქონდა სავსე.

სად იყო და სად არა... ტრამვაიში შემხვდა ერთი ჩემი ძველი ნაცნობი. მინდოდა თვალის არიდება, მაგრამ აირიდა?! „წიანუშკა“ მოიმარჯვა და ქეჩოში მომკიდა ხელი:

— მრავალს დაესწარი... ასე ტკბილად!

მე ნუღით გაწეპილი პირს ვერ ვაღებდი, მაგრამ მან ისე მოხდენილად შემიცუარა პირში „წიანუშკა“, რომ ვერც კი გავიგე.

— დიაბეტი მაქვს.. ტკბილი ჩემთვის არ შეიძლება... მინდოდა ამეხსნა მისთვის, მაგრამ მთვრალი იყო, რა უნდა ველაპარაკო, მთვრალს კი არა, ფხიზელს არ ესმის არაფერი!

ძალიან გული მომივიდა, ამოვიღე ჯიბიდან ერთი შუჭა ფაფად ქცეული კამფეტები და მეც ამოვუვსე პირი.

— მმმ... — ერთი დაიზმუვლა მან. — გენ